29/01/2026

MES 1 26 0000088174

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 15 იანვარს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85672230466
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ელენე ბოდაველი
აკაკი სადუნიშვილი
ქეთევან ღვანიძე
მედეა ზურაბიშვილი
თორნიკე თუთარაშვილი
ბექარ კილასონია
ეკა ბუთხუზი
ზურაბ მესხიძე
თამილა გრძელიშვილი
ნანა ვერულაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – ფრიდონ ბუაძე
დირექტორის მოადგილე – ილია ოშხერელი
და ხარისხის მართვის მენეჯერი – დარეჯან ჭელიძე

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია
აკადემიის დირექტორი – იოსებ აბესაძე
აკადემიის დირექტორის მოადგილე – ზვიად არძენაძე
აკადემიის ხელმძღვანელი – ბექარ კილასონია
აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი – ნინო ვასაძე

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
კოლეჯის დირექტორი – თეიმურაზ ლორთქიფანიძე
კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი – ქეთინო ბაგაური

შპს ბარაკონი

დირექტორი - გიორგი ფოფხაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ჭითანავა
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი - ნინო ხაჩიძე
დირექტორის მოადგილე - ნინო ბოკერია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ „ერქვანში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის მონიტორინგის პროცესს. მან განმარტა, რომ 2025 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, კოლეჯს განესაზღვრა მონიტორინგი 5.1 კომპონენტში (თბილისის მისამართი) და საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ ფარგლებში 2.2 კომპონენტში (თბილისისა და ქუთაისის მისამართები). მონიტორინგის დაწყების თარიღად განსაზღვრული იყო 2025 წლის 7 ოქტომბერი.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, კოლეჯმა სრულ შესაბამისობაში მოიყვანა „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის მატერიალური რესურსი (2.2 კომპონენტი) ორივე მისამართზე, თუმცა, 5.1 კომპონენტთან (სახანძრო უსაფრთხოება) მიმართებით, დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეფერხდა პროცესი. კერძოდ, კომპანია „Georgia Water and Power-ის“ (GWP) მიერ ახალი სტანდარტის შესაბამისი გარე სახანძრო ჰიდრანტის დამონტაჟება და ამუშავება ამ დრომდე ვერ განხორციელდა, რაც აბრკოლებს სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრმა იშუამდგომლა საბჭოს წინაშე მონიტორინგის პროცესის ორ ნაწილად გაყოფის თაობაზე, კერძოდ, „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის (2.2 კომპონენტი) მონიტორინგი განხორციელდეს მიმდინარე ეტაპზე ადგილზე ვიზიტის ფორმით, ხოლო 5.1 კომპონენტის მონიტორინგი გადავადდეს 2026 წლის აპრილის ბოლოსთვის და განხორციელდეს დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მონიტორინგის პროცესის გაყოფისა და ვადების ცვლილების შესახებ, წარმოდგენილი შუამდგომლობის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭომ დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის მონიტორინგი გაიყოს ორ ეტაპად: საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ (2.2 კომპონენტი) შემოწმება ჩატარდეს ადგილზე ვიზიტის ფორმით, ხოლო 5.1 კომპონენტის მონიტორინგი გადავადდეს 2026 წლის აპრილის ბოლოსთვის და განხორციელდეს დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ „ერქვანში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, საკითხის განსახილველად სიტყვა გადასცა ცენტრის პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ მონიტორინგის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 17 ივლისის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა მონიტორინგი ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 და მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტებში, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. საბჭოს გადაწყვეტილებით, მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 4 დეკემბერი, ხოლო ფორმატად – დოკუმენტური შემოწმება.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა შესაბამისი ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ცენტრის მიერ დამატებით გამოთხოვილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია: შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; პერსონალის შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; პერსონალის საქმიანობის შეფასების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად წარმოადგინა 2025 წლის 16 დეკემბერს. წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯმა სრულად შეასრულა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და დაწესებულების საქმიანობა შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია კოლეჯ „ერქვანთან“ დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „ერქვანში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „ერქვანში“ (ს/კ: 222934671) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, განაცხადა თვითაცილება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, მან სხდომის თავმჯდომარეობის უფლებამოსილება გადააბარა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხათუნა ჩხარტიშვილს.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე ბოდაველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10.10.2025 წლის MES 3 25 0001329952 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების, ასევე ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ბ.) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში 2025 წლის 30, 31 ოქტომბერს (მის.: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50). ვიზიტამდე განხორციელდა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და ექსპერტებს შორის მიგნებების შეჯერება. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება. დაწესებულების სივრცეებისა და მატერიალური რესურსის დათვალიერება, რისი შედეგიც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში.
ელენე ბოდაველმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა ავტორიზაციის პირველადი ვიზიტისას გამოვლენილი შეუსაბამობების გადამოწმება ყველა სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ პირველი ვიზიტის შემდგომ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ხარვეზების გამოსასწორებლად, განაახლა ადმინისტრაციული პერსონალი და გამოავლინა მაღალი მოტივაცია სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად.

ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა სტანდარტებთან დაკავშირებული მიგნებები:
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტის განცხადებით, 1.2 კომპონენტში (სტრატეგიული განვითარება) პირველადი შეუსაბამობა გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულების რეგულაციები არ მოიცავდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურულ ნაწილს. მონიტორინგის ეტაპზე დადგინდა, რომ კოლეჯმა განახორციელა ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტაციაში და სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესი შესაბამისობაში მოიყვანა დადგენილ წესთან. ელენე ბოდაველმა ყურადღება გაამახვილა სტრატეგიული გეგმის ნაწილზე – SWOT ანალიზზე, სადაც კოლეჯს სუსტ მხარეებში კვლავ ჰქონდა მითითებული რესურსების ნაკლებობა და სათვალთვალო სისტემების არარსებობა. ექსპერტმა განმარტა, რომ ადგილზე შემოწმებით აღნიშნული მატერიალური ხარვეზები არ დადასტურდა და დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ სტრატეგიული

გეგმის მომდევნო მონიტორინგისას SWOT ანალიზი განახლდეს და მოერგოს დაწესებულების არსებულ რეალობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა მოახდინა სტრატეგიული მიზნების ოპტიმიზაცია (10-ზე მეტი მიზნის ნაცვლად ჩამოყალიბდა 4 ძირითადი მიზანი). თუმცა, რესურსების გაწერის ნაწილში გამოვლინდა არაერთგვაროვანი მიდგომა – ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები ზედმეტად დეტალიზებული იყო, ზოგგან კი - განზოგადებული. ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია რესურსების მითითებისას ერთიანი, სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების თაობაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსების ნაწილში დაწესებულებას შეუსაბამობა არ უფიქსირდება და ძირითადი ხარვეზები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შეთანხმება, გამოსწორების პროცესშია ან უკვე გამოსწორებულია. ელენე ბოდაველმა, თქვა, რომ პირველადი შეფასებისას 1.2.2 კომპონენტი მიჩნეული იყო შეუსაბამოდ, ვინაიდან დაწესებულება არ უზრუნველყოფდა შესრულების შედეგების საჯაროობას. მონიტორინგის პროცესში დაწესებულების ვებ-გვერდის გადამოწმებით დადასტურდა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მონიტორინგის პერიოდულობაზეც. დაწესებულების რეგულაციით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ (დეკემბერსა და ივნისში) არის გათვალისწინებული, ხოლო სტრატეგიული გეგმის – შუალედურ პერიოდში (3.5 წლის შემდეგ) და ავტორიზაციის ვადის გასვლამდე. თუმცა, ვინაიდან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმის მონიტორინგიც უფრო ხშირი პერიოდულობითაა მითითებული, გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული პრაქტიკა აისახოს რეგულაციაშიც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის გადახედვა საჭიროებისამებრ, დადგენილი მინიმალური ვადების მიღმაც.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში: 1) დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული სსსმ პირების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის მექანიზმი, სასწავლო რესურსების ადაპტირების საკითხი. დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნული საკითხის ასახვა შესაბამის დოკუმენტში; 2) დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული პროგრამასა და მოდულებში ცვლილების შეტანის მექანიზმი. კოლეჯმა უზრუნველყო მექანიზმის გაწერა. 3) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მექანიზმით არ იყო განსაზღვრული განმეორებით შეფასებაზე გასვლის საკითხი. დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი. კოლეჯმა უზრუნველყო როგორც შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის შექმნა, ისე პროფესიული სტუდენტისათვის განმეორებით შეფასების უფლებით სარგებლობის საკითხის დარეგულირება.

მესამე სტანდარტის3.2 კომპონენტთან მიმართებით (პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერის ღონისძიებები) ექსპერტმა განმარტა, რომ პირველადი ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული სტუდენტთა კარიერული კონსულტირების, აკადემიური მხარდაჭერის, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მონიტორინგის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი მარეგულირებელი დოკუმენტი – „პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის, დასაქმების ხელშეწყობის და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის წესი“, სადაც დეტალურად გაიწერა ყველა საჭირო პროცედურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ინფორმირებულობა ადმინისტრაციული და კარიერული მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მიღების სტატუსიდან გამომდინარე, სტუდენტებს ჯერ არ გამოუხატავთ ინიციატივა არაფორმალური აქტივობების შესახებ, მათ აქვთ ინფორმაცია კოლეჯის მზაობაზე, მხარი დაუჭიროს მსგავს ინიციატივებს. რაც შეეხება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კვლევა ჯერ არ ჩატარებულა სამოქმედო

გეგმით გათვალისწინებული ვადების გამო, თუმცა დოკუმენტური მზაობა სახეზეა. კარიერული მხარდაჭერის ნაწილში, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ კოლეჯი აქტიურად მუშაობს დამსაქმებელთა ბაზების გამრავალფეროვნებაზე. ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები, მათი დასაქმების მაჩვენებლის კვლევა (რომელიც რეგულაციით 6-დან 36 თვემდე ვადას გულისხმობს) სამომავლო პერიოდისთვის არის დაგეგმილი, რისთვისაც შესაბამისი ინსტრუმენტები უკვე მომზადებულია.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით ითქვა, რომპირველადი შეფასებისას აღნიშნული სტანდარტი მიჩნეული იყო შეუსაბამოდ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის არარსებობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურულ ერთეულში გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტის გამო. მონიტორინგის ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სრულად ფარავს პერსონალის მართვის ციკლს: მოზიდვიდან და ინტეგრაციიდან – პროფესიულ განვითარებამდე და შეფასებამდე. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის უმრავლესობა პირველი ვიზიტის შემდგომ პერიოდშია დაქირავებული დაწესებულების მიერ დადგენილი წესების დაცვით. პერსონალთან ინტერვიუირებამ გამოავლინა მაღალი ორგანიზაციული კულტურა და გუნდური გარემო, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების სწრაფ ადაპტაციას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ყველა თანამშრომლის პირადი საქმე სრულყოფილია და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია: პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აისახოს კადრის პირდაპირი დანიშვნით აყვანის მექანიზმი, რათა სპეციფიკური კადრის მოძიებისას კონკურსის ჩატარება არ იქცეს ფორმალურ ბარიერად. პერსონალის განვითარების ნაწილში აღინიშნა, რომ დაწესებულებამ უკვე განახორციელა ტრენინგები სწავლების მეთოდებსა და შეფასების მიდგომებში. სისტემური განვითარების გეგმის შემუშავება კი დაგეგმილია სასწავლო წლის ბოლოს, საჭიროებათა კვლევის საფუძველზე.

მეხუთე სტანდარტის განხილვისას ელენე ბოდაველმაგანმარტა, რომ სტანდარტის პირველადი შეუსაბამობა გამოწვეული იყო რესურსების შეფასებისა და განვითარების მექანიზმების არარსებობით. მონიტორინგისას დადასტურდა, რომ აღნიშნული საკითხები დარეგულირდა შესაბამისი მეთოდოლოგიითა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დოკუმენტით. ინფრასტრუქტურულ ნაწილში ექსპერტმა დადებითად შეაფასა კოლეჯის გარემო: მოწესრიგებული გათბობის სისტემა, ბუნებრივი განათება, იზოლირებული სასწავლო ოთახები და აღჭურვილი ბიბლიოთეკა. მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: რეგულაციაში დაკონკრეტდეს ვადა, თუ რამდენად ადრე უნდა მიმართოს მოდულის განმახორციელებელმა დაწესებულებას საჭირო სასწავლო რესურსის მისაღებად; ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ აისახოს რესურსების შეფასების ვადები.

უსაფრთხოების კუთხით, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული გეგმა, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნები. პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი ინსტრუქტაჟი, კოლეჯში კი მოქმედებს დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. საინფორმაციო რესურსების ნაწილში ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიწყო IT ინფრასტრუქტურისა და პროცესების მართვის ეფექტურობის რეგულარული შეფასება, რაც პირველადი ვიზიტისას ხარვეზს წარმოადგენდა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი საინფორმაციო ინფრასტრუქტურით. კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის. პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო გარემოები უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობით.

ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ აღინიშნა, რომ აკადემიაში დოკუმენტბრუნვისთვის იყენებენ ელექტრონულ სისტემას eFlow-ს. eFlow-ს საშუალებით აკადემია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას არსებული პროცესების მხარდაჭერას, კომუნიკაციას, ინფორმაციის დამუშავებასა და დაცვას. ამ ეტაპზე სისტემაში 8 მომხმარებლის user-ით უკვე სარგებლობს კოლეჯი. აკადემია იყენებს Office 365-ს და Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმას. Microsoft Teams-ის ან/და Zoom-ის პლატფორმაზე ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემია იყენებს შესაბამის ანგარიშებს (Account).

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.1 – დაწესებულებამ უზრუნველყოს SWOT ანალიზის განახლება და კოლეჯის წინაშე, ამჟამად, არსებული გამოწვევების შესაბამისად ჩამოაყალიბოს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და და საფრთხეები/რისკები.
ინდიკატორი 1.2.1.3 – დაწესებულებამ უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსის სახეობის დაკონკრეტება და ერთგვაროვანი მიდგომით განსაზღვრა, გამორჩენილი პუნქტის შევსება.
ინდიკატორი 1.2.2.1 – დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის ანგარიში საანგარიშო პერიოდში ორჯერ უნდა განხორციელდეს. თუმცა, დაწესებულებას სამოქმედო გეგმის თანახმად 2025-2026 წელს ორჯერ აქვს გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. გამომდინარე აქედან, სასურველია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში აღნიშნოს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულის გარდა შესაძლოა განახორციელოს საჭიროებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი 4.1.2.2 – აკადემიაში მოქმედი რეგულაციებით, ვაკანსიის შევსების ფორმად განსაზღვრულია: ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან და ღია კონკურსის გამოცხადებით, რაც გულისხმობს საკადრო მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვას. პროფესიული განათლების სიტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პერსონალის შერჩევის მეტი მოქნილობისათვის დაწესებულებამ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწეროს პერსონალის აყვანის სხვა შესაძლებლობებიც, როგორიცაა პერსონალის აყვანა დანიშვნის გზით/პერსონალის მოძიება საკუთარი რესურსით.
ინდიკატორი 4.2.1.1 – დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პერსონალის შეფასების საკითხი ასახოს დაწესებულების სამოქმედო გეგმაში.
ინდიკატორი 5.1.1.6 – სასურველია დაწესებულებამ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესების დოკუმენტში დააკონკრეტოს, მასალა/ნედლეულის შესყიდვის მოდულის დაწყებამდე განხორციელებაში უშუალოდ რა ვადას გულისხმობს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტის განცხადებით, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ხორციელდება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თრიალეთის ქუჩა N50-ში. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სამი A გარემო (აუდიტორიები #309, #310, #109) და B გარემო (#312). თითოეული სასწავლო სივრცე კეთილმოწყობილია და სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილია 25 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ინვენტარით: შესაბამისი რაოდენობის მაგიდებით, სკამებით,

პერსონალური კომპიუტერებით, დაფებითა და დემონსტრირების საშუალებებით. დაწესებულების ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და სამკითხველო სივრცით. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული ფორმით და მოიცავს ორ პრაქტიკულ მოდულს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ქ. თბილისის #64, #116 და #25 სახელმწიფო ბაგა-ბაღებთან. პარტნიორი ორგანიზაციები ჯამში უზრუნველყოფენ 133 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებითა და ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა და გამოცდილი პერსონალი სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 დარგობრივი და 13 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და ჩანაცვლებადობას. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და მოდულების ადაპტირების მიმართულებით. პერსონალის დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. ვინაიდან სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია, დაწესებულება მოქნილად რეაგირებს მათ საჭიროებებზე და უზრუნველყოფს შესაბამის სასწავლო განრიგს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ პირთა საჭიროებებს, რისთვისაც შემუშავებულია რესურსების ადაპტირების მექანიზმები (აუდიო/ვიდეო ვერსიები, გამსხვილებული შრიფტი და ა.შ.). პროგრამის ხარისხის კონტროლი ხორციელდება ორ ეტაპად – მიმდინარეობისას და დასრულების შემდგომ, რაც მოიცავს შრომის ბაზრის ანალიზს, სტუდენტთა გამოკითხვას და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე პროგრამის მუდმივ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

ექსპერტის განცხადებით, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თრიალეთის ქუჩა N50-ში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, რაც სრულად არის უზრუნველყოფილი #312 აუდიტორიაში. სასწავლო სივრცე აღჭურვილია 25 პერსონალური კომპიუტერით, სადაც ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამის „Oris“-ის დემო ვერსია, ასევე ციფრული სადემონსტრაციო ტექნიკითა და საჭირო რაოდენობის ინვენტარით. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, შესაბამისად, სწავლების შედეგების მიღწევა სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, ორცვლიანი გრაფიკის (20-20 სტუდენტი) გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 კვალიფიციური მასწავლებელი (6 პროფესიული და 19 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი). პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით და გასაუბრებით დასტურდება მათი შესაბამისი კომპეტენცია და დარგობრივი გამოცდილება. თითოეული მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება ნორმებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას ჰყავს დარგის კომპეტენტური ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის ადაპტირების, პერსონალის შერჩევისა და პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს იმიტირებულ გარემოში, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც

მატერიალური, ისე ელექტრონული სასწავლო რესურსები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია საკანონმდებლო მაცნესთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რათა სტუდენტებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ განახლებულ ნორმატიულ აქტებზე. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საქართველოს შრომის უსაფრთხოების ინსტიტუტთან“, რაც უზრუნველყოფს სტანდარტების დაცვასა და ინციდენტების პრევენციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 11 სტუდენტს, რაც ამჟამინდელი მონაცემებით (12 აქტიური სტუდენტი) ადასტურებს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მდგრადობას. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე, მოიცავს ვერიფიკაციისა და აპელაციის მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც საფუძვლად ედება პროგრამის შემდგომ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თრიალეთის ქუჩა N50-ში. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი B გარემო, რომელიც გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო სივრცე უზრუნველყოფილია შესაბამისი მონაცემების მქონე პერსონალური კომპიუტერებით, პროექტორით, პრინტერითა და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. ვინაიდან პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, სწავლის შედეგების მიღწევა სრულად ხორციელდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა (სულ სამი B გარემო) საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს ორ ცვლაში, რაც სრულად ფარავს სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას (40 სტუდენტი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 კვალიფიციური მასწავლებელი (4 დარგობრივი და 21 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი). პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით და გასაუბრებით დადასტურდა მათი კომპეტენცია სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროგრამას ჰყავს დარგის კომპეტენტური ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სასწავლო გეგმის ადაპტირების, პერსონალის შერჩევისა და საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში. მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს (პრეზენტაციები, ვიზუალური მასალები). დაწესებულების ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სასწავლო რესურსები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას: პროგრამაზე ირიცხება ერთი სსსმ სტუდენტი, რომლისთვისაც დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის მოდიფიკაციას მისი საჭიროებების შესაბამისად. სასწავლო გარემო დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმებით, რაზეც ზედამხედველობას ახორციელებს მოწვეული სპეციალისტი. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება ამჟამად არსებულ აქტიურ სტუდენტთა რაოდენობას და ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. დაწესებულებაში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების ვალიდური და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის ანალიზსა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც საფუძვლად ედება პროგრამის შემდგომ მოდიფიცირებასა და განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მეოთხე დონის პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხორციელდება ქ. თბილისში, თრიალეთის ქუჩა N 50-ში მდებარე სასწავლო კორპუსში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ აღჭურვილობას, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სპეციალიზებული B გარემო. სასწავლო სივრცე გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია 25 პერსონალური კომპიუტერით, რომლებიც უზრუნველყოფილია დარგობრივი პროგრამული პაკეტებით, პრინტერით, პროექტორითა და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. ვინაიდან პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი სრულად ინტეგრირებულია სასწავლო ბაზაზე. აკადემიის მფლობელობაში არსებული სამი B გარემო და ორცვლიანი სწავლების გრაფიკი სრულად იძლევა სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (40 სტუდენტი) მიღებისა და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობას. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია 25 კვალიფიციური მასწავლებელი, მათ შორის 4 დარგობრივი მოდულების სპეციალისტი და 21 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. პერსონალის შერჩევა განხორციელებულია დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებისა და კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტაბილურობას. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მოდულების ადაპტირებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერსონალი სრულად ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია როგორც მატერიალური სახელმძღვანელოები, ისე ელექტრონული სასწავლო მასალები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო სივრცით, 4 კომპიუტერითა და ასლგადამღები ტექნიკით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ და შშმ პირების მხარდაჭერის მექანიზმები, რაც მოიცავს სასწავლო მასალების ადაპტირებას (დიდი შრიფტი, აუდიო ვერსიები და სხვ.) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ სტუდენტი არ ირიცხება, აკადემიაში მუშაობს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც მზად არის საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს სასწავლო პროცესში. პროგრამის ფინანსური ანალიზი აჩვენებს მის მდგრადობას: რენტაბელობის ზღვარი არის 11 პროფესიული სტუდენტი, ხოლო აქტიური სტუდენტების რაოდენობაა 12 სტუდენტი. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის პერსონალის ანაზღაურებას, კომუნალურ გადასახადებს, იჯარასა და განვითარების ხარჯებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ეყრდნობა ორ ეტაპიან შეფასებას (მიმდინარე და შემდგომი მონიტორინგი), რაც საშუალებას იძლევა დროულად განხორციელდეს ცვლილებები პროგრამაში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე.

ექსპერტმა შეაჯამა ოთხივე პროგრამაში („აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“) გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ: 1) დაწესებულებამ განსაზღვრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პირთათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების მექანიზმები. კოლეჯში მომსახურების ხელშეკრულებით დასაქმებულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამ ეტაპზე დაწესებულებაში ირიცხება ერთი სსსმ სტუდენტი, რომლის საჭიროებებიც არ მოითხოვს რესურსების მოდიფიკაციას.2)სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაიწერა პროგრამებსა და მოდულებში ცვლილებების შეტანის პროცედურა, რაც მოიცავს ინიცირების, სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. 3) რეგულაციაში აისახა შეფასების წესი, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სტუდენტებს აძლევს შეფასების მესამედ გამოყენების შესაძლებლობას

(დადგენილი საფასურის სანაცვლოდ). 4) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ ვერიფიკაციის მექანიზმში მკაფიოდ აისახოს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის წესი, რათა ვალიდაციის პროცესში ჩართული დარგის ექსპერტის მიუკერძოებლობა იყოს გარანტირებული. ექსპერტმა წარადგინა ინფორმაცია სტუდენტთა კონტინგენტის შესახებ. გაზაფხულის მიღების შედეგად კოლეჯს ჰყავს აქტიური სტუდენტები, თუმცა ფიქსირდება სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ერთეული შემთხვევები. „აღმზრდელის“ პროგრამაზე დარჩენილია 20 ვაკანტური ადგილი, ხოლო სხვა პროგრამებზე დაწესებულება კვოტების სრულად შევსებას ელოდება. ექსპერტმა ვიზუალური მასალის საფუძველზე აჩვენა კოლეჯის განახლებული სივრცეები. ბიბლიოთეკა მესამე სართულიდან გადატანილია პირველ სართულზე, მოწყობილია იზოლირებული სამუშაო კუთხეები პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ასევე, დათვალიერებულ იქნა ექთნის კაბინეტი და სასწავლო გარემოები (A და B ტიპის).
ექსპერტმა გამოსვლა დაასრულა იმის აღნიშვნით, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს დასკვნაში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და რეკომენდაციებს.

ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები.

ნათია ბუთხუზმა, მადლობა გადაუხადა დაწესებულებას გაწეული სამუშაოსთვის და დაინტერესდა, რამდენად კმაყოფილია კოლეჯი სტუდენტთა მიღების მაჩვენებლით და რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ მოლოდინები დიდწილად გამართლდა. მისი თქმით, პროგრამების უმრავლესობა სრულად შეივსო, ხოლო ვაკანტური ადგილები მხოლოდ „აღმზრდელის“ (24 ადგილი) და „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ (3 ადგილი) პროგრამებზე დარჩა.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ვასაძემ, დაამატა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი უკვე შესრულებულია, ხოლო ნაწილი დამუშავების პროცესშია. მან ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა შესაბამისობაში მოვიდა რეგულაციებთან. ასევე, ჩატარდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (სასწავლო პროცესისა და ინფრასტრუქტურის ნაწილში), რომელმაც მაღალი მაჩვენებელი აჩვენა.

კოლეჯის დირექტორმა, იოსებ აბესაძემ, გამოხატა მზაობა შემდგომი განვითარებისა და ხარისხის ამაღლებისთვის.
ხათუნა ჩხარტიშვილი, დაინტერესდა სტუდენტთა მიერ სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მიზეზებით. ბექარ კილასონიამ განმარტა, რომ სტატუსის შეწყვეტის მიზეზი იყო საცხოვრებელი ადგილის შეცვლა (კახეთის რეგიონში გადასვლა) ან სხვა კოლეჯში გადასვლა ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გამო. ექსპერტმა, ელენე ბოდაველმა, დააზუსტა, რომ ერთ-ერთი სტატუსშეწყვეტილი სტუდენტი რეალურად დარჩა კოლეჯში და ისარგებლა შიდა მობილობის უფლებით. მან ასევე აღნიშნა, რომ „აღმზრდელის“ პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობა უკვე დასაქმებულია კერძო სექტორში და კოლეჯში სწავლა მათთვის საჯარო ბაღებში დასაქმების შესაძლებლობას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში (ს/კ: 406460235) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მესამე საკითხი: შპს ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის № MES 6 25 0001254958 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 22, 23, 24 ოქტომბერს შპს ბარაკონში (მის.: საქართველო, ქ. თბილისი,

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №4) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე შესწავლა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს შიდა კონფერენციას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტების ცოდნის გაღრმავება, უნარების განვითარება და მათი აკადემიური პოტენციალის გამოვლენა. კონფერენციაში მონაწილე ყველა პროფესიულ სტუდენტს დაწესებულება გადასცემს – მონაწილეობის სერტიფიკატებს, წიგნებსა და სხვა სამახსოვრო ნივთებს, ხოლო კონფერენციის ფარგლებში გამოვლენილ გამარჯვებულს საჩუქრებთან ერთად ფულად ჯილდოს. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს სტუდენტთა მოტივაციის ზრდას, მათ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („საექთნო საქმე“) ერთ-ერთი კურსდამთავრებული, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ, დასაქმდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიულ საზოგადოებაში ცოდნისა და გამოცდილების უწყვეტ გადაცემას, მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტთა შიდა მოტივაციურ მექანიზმებს და დადებითად აისახება როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე, ისე დარგობრივი მომზადების მდგრადობაზე.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.1 დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტში გაწერილია ვალიდაციის პროცედურა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, „ვერიფიკატორის“ ნაცვლად გამოიყენონ ტერმინი „ვალიდატორი“. ასევე, რამდენადაც, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და შეფასების შიდა ვერიფიკაცია, ორივე მიემართება პსდ სტანდარტების 2.4.2 კრიტერიუმს, სასურველია მარეგულირებელ აქტებში თანმიმდევრულად იყოს გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები (ვალიდაცია, ვერიფიკაცია). ასევე, ინსტრუმენტის ვალიდაციის დროს, ვალიდატორმა უკუკავშირით დაადასტუროს, რომ ინსტრუმენტი შეითანხმა დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით. (დირექტორის ბრძანება, N53/12.08.2021 ბოლო ცვლილება ბრძანება N20/26.02.2024). ეს პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მატერიალური ფორმით, ასევე, ელექტრონული მიმოწერით, ვალიდატორების ოფიციალურ მეილებზე.

2.4.2.2 დაწესებულება ინსტრუმენტის ვერიფიკაციას ახორციელებს, მატერიალური და ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია, ვერიფიკატორების მიერ შევსებულ (დასრულებულ) ვერიფიკაციის დასკვნის ფორმაში გაჩნდეს ვერიფიკატორების ხელმოწერა. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება ვერიფიკაციის დოკუმენტის უფრო მყარი მტკიცებულება.

აღინიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით თავის არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ ეთანხმება დასკვნის პროექტში ასახულ

ფაქტობრივ გარემოებებს და რეკომენდაციებს. ამასთანავე, დააფიქსირა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა გაზიარებული და დასკვნაში ჩასწორებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა გამოვლენილი ტექნიკური შეცდომა დაწესებულების განმარტებების საფუძველზე გასწორდა, რაც უზრუნველყოფს დასკვნის პროექტის რეალობასთან სრულ შესაბამისობას.

ბექარ კილასონიას განცხადებით, დაწესებულების მისია სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების სახელმწიფო მიზნებს და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადებაზე, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. ექსპერტმა განმარტა, რომ „ბარაკონის“ ხედვა მიმართულია სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნისკენ. მან დაადასტურა, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია როგორც ვებგვერდზე, ისე საკომუნიკაციო მასალებში, ხოლო მათი შინაარსი ასახავს კოლეჯის გამორჩეულ როლს საგანმანათლებლო სივრცეში, მათ შორის სოციალური ინკლუზიისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის კუთხით. სტრატეგიული დაგეგმარების ნაწილში ექსპერტმა დეტალურად მიმოიხილა კოლეჯში დანერგილი შვიდწლიანი და ერთწლიანი დაგეგმვის პრაქტიკა. აღინიშნა, რომ პროცესი არის თანამონაწილეობითი და ეფუძნება SWOT ანალიზს, ქვეყნისა და რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებასა და დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების შესწავლას. ექსპერტის დასკვნით, დაგეგმვის მეთოდოლოგია გამართულია და მოიცავს მკაფიო მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებსა და პასუხისმგებელ პირებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთ ძირითად მიზანს, რომლებიც ორიენტირებულია პროგრამების განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ადამიანური რესურსების მართვასა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაზე. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განხილვისას ბექარ კილასონიამ ხაზი გაუსვა გეგმების შესრულების კონტროლის მექანიზმებს. დაწესებულებაში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ყოველ ექვს თვეში ერთხელ ახორციელებს აქტივობების მონიტორინგს და ადგენს შესაბამის ანგარიშებს დირექტორისთვის წარსადგენად. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, გეგმავს მაკორექტირებელ ღონისძიებებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და უზრუნველყოფს ამ ანგარიშების საჯაროობას. წარმოდგენილი მტკიცებულებების, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო ერთმნიშვნელოვანი: კოლეჯი „ბარაკონი“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მისიისა და სტრატეგიული განვითარების კომპონენტში.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და აღდგენის სამართლებრივ გარანტიებს. ექსპერტის განმარტებით, სტუდენტები კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებსა და სასწავლო რესურსებზე წვდომის შესაძლებლობებს, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეფასების სისტემასა და გასაჩივრების მექანიზმებს, რომლებიც შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა პრაქტიკაში გასაჩივრების საჭიროება ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა.
სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების მიმოხილვისას, ბექარ კილასონიამ ყურადღება გაამახვილა აკადემიური და ადმინისტრაციული კონსულტირების ეფექტურობაზე. კოლეჯში დანერგილია საორიენტაციო შეხვედრების პრაქტიკა ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის, რაც მათ სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მოთხოვნებზე, მათ შორის ცნობების გაცემასა და ინიციატივების განხილვაზე, რეაგირებას გონივრულ ვადებში. გარდა ამისა, კოლეჯი აქტიურად ახალისებს არაფორმალურ განათლებას და ექსტრაკურიკულურ

აქტივობებს, როგორებიცაა სტუდენტური კონფერენციები, სასწავლო ექსკურსიები პარლამენტში და ტრენინგები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
კარიერული მხარდაჭერის მომსახურება კოლეჯის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეფასდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება პოტენციურ სტუდენტებს სთავაზობს უფასო მოსამზადებელ კურსებს ქიმია-ბიოლოგიაში, ხოლო არსებულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. კოლეჯი პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა კვლევას, რომლის ბოლო შედეგებიც პოზიტიურია: გამოკითხულთა 90%-ს არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე, ხოლო დასაქმებულთა 68% კმაყოფილია თავისი სამუშაოთი. კარიერული განვითარების სპეციალისტი ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს CV-ის შედგენასა და სამოტივაციო წერილების მომზადებაში, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.

ბექარ კილასონიამ ხაზი გაუსვა უკუკავშირის სისტემის მნიშვნელობას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განუყოფელი ნაწილია. კოლეჯი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება სასწავლო რესურსებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯი „ბარაკონი“ სრულად აკმაყოფილებს მესამე სტანდარტის ყველა ინდიკატორს, რადგან დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო, მხარდამჭერი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, სადაც სტუდენტის ინტერესები და უფლებები პრიორიტეტულია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება ფუნქციონალურ და იერარქიულ დაყოფას, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტიანობასა და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. სტრუქტურა მოიცავს დამფუძნებელთა საბჭოს, დირექტორსა და სპეციალიზებულ სამსახურებს, რომელთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სამუშაო აღწერილობებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამოუკიდებლობას, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ დირექტორის წინაშე და არ არის ჩართული ოპერატიულ საქმიანობაში, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას PDCA (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე) ციკლის საფუძველზე.

პერსონალის მართვის პოლიტიკის განხილვისას ექსპერტმა განმარტა, რომ კოლეჯში მოქმედი რეგულაციები, მათ შორის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. კადრების შერჩევა ხორციელდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით, რაც გულისხმობს ვაკანსიების საჯარო გამოქვეყნებასა და კანდიდატთა კვალიფიკაციის მკაცრ შემოწმებას პირადი საქმეების საფუძველზე. ბექარ კილასონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია გუნდური მუშაობისა და მონაწილეობითი მართვის კულტურა, სადაც თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის სტაბილურ განვითარებას.

ადამიანური რესურსების განვითარების კომპონენტში ექსპერტმა ხაზი გაუსვა ყოველწლიური შეფასების სისტემის ეფექტურობას. კოლეჯი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, მათ შორის ადმინისტრაციის თვითშეფასების კითხვარებს, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებსა და სალექციო საათებზე დასწრების ოქმებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები აისახება პერსონალის განვითარების გეგმაში, რომელიც ინტეგრირებულია დაწესებულების წლიურ სამოქმედო გეგმაში. მაგალითის სახით ექსპერტმა დაასახელა 2024

წელს ჩატარებული ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და საექთნო პროგრამაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე გასვლითი სემინარები ხარისხის მართვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესზე, რაც დაწესებულების მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მიუთითებს. კოლეჯი ხელს უწყობს მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნას, სადაც წახალისებულია პერსონალის ინიციატივები – მაგალითად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული დამატებითი კვლევა. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, ბექარ კილასონიამ დაადასტურა, რომ კოლეჯი „ბარაკონი“ სრულად აკმაყოფილებს ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტის მოთხოვნებს და ორიენტირებულია პერსონალის მუდმივ პროფესიულ ზრდაზე.

ბექარ კილასონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას №4-ში მდებარე 756 კვ.მ. ფართობზე, რომელზეც გაფორმებულია გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება 2031 წლის ბოლომდე. კოლეჯის ინფრასტრუქტურა მოიცავს ყველა საჭირო ფუნქციურ ზონას, მათ შორის თეორიული სწავლების აუდიტორიებს, კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკასა და სარეკრეაციო სივრცეებს. ექსპერტმა თქვა, რომ შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.
უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისას ბექარ კილასონიამ ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან გარემოებაზე, რის გამოც აღნიშნული ინდიკატორი 5.1.2.1 „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა. მიუხედავად იმისა, რომ შენობის შიდა პერიმეტრზე სახანძრო სისტემები გამართულია და დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური უსაფრთხოების სპეციალისტი და ექთანი, გამოიკვეთა გამოწვევა გარე სახანძრო ჰიდრანტებთან დაკავშირებით. კომპანია „GWP“-სთან მიმოწერის საფუძველზე დადგინდა, რომ 200 მეტრის რადიუსში ჰიდრანტი არ არის დამონტაჟებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას 2025 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველეყო სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრული შესაბამისობა და დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

საინფორმაციო რესურსების ნაწილში ექსპერტმა დადებითად შეაფასა IT ინფრასტრუქტურა და საქმისწარმოების სისტემა. კოლეჯი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას „eflow“, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურობას. ბექარ კილასონიამ ხაზი გაუსვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების არსებობასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს Firewall-ის გამოყენებას და მონაცემთა „ღრუბლოვან საცავში“ რეზერვირებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით აღინიშნა, რომ კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელები რეგულარულად ახლდება, ხოლო პროგრამების კატალოგი დაინტერესებულ პირებს აწვდის უტყუარ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ.

ფინანსური რესურსების განხილვისას ექსპერტმა დაადასტურა „ბარაკონის“ ფინანსური მდგრადობა. წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი სახსრები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სრულფასოვანი რეალიზაციისთვის, მათ შორის საოპერაციო ხარჯებისა და პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის. ბექარ კილასონიამ ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს საკუთარი

ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს მიღებულ შედეგებზე. საერთო ჯამში, მატერიალური და ფინანსური რესურსების სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, ხოლო უსაფრთხოების კომპონენტში გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილ ვადებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხორციელდება ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N4-ში. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულებაში შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემოები:

- A გარემო (აუდიტორია N6): მოწყობილია აფთიაქის მოდელი, რომელიც აღჭურვილია 40+1 სამუშაო ადგილით, სააფთიაქო კარადებითა და ფარმაცევტული პროდუქციის სიმულაციური ნიმუშებით.
- B გარემო (აუდიტორია N2 და N1): კომპიუტერული ლაბორატორიები (20+1 და 10+1 სამუშაო ადგილით), უზრუნველყოფილია სათანადო ტექნიკითა და ინტერნეტით, რაც სრულად პასუხობს „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის მოთხოვნებს.
- C გარემო (აუდიტორია N14): ტექნოლოგიურ-ბიოლოგიურ-ქიმიური ლაბორატორია, გათვლილი 24 სტუდენტზე. იგი აღჭურვილია გამწოვი კარადით, რეაქტივებით, მიკროსკოპებით, რეფრაქტომეტრით, ლაბორატორიული ჭურჭლითა და უსაფრთხოების ყველა საჭირო ინვენტარით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (8 პროფესიული მოდული) რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის წამყვან ორგანიზაციებთან: შპს „ავერსი ფარმა“, სს „გეფა“ (ჯიპისი, ფარმადეპო) და შპს „იმპექსფარმი“. პარტნიორი ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა და რესურსი უზრუნველყოფს 80 პროფესიული სტუდენტის მიღებას და მათთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 28 პირი (მათ შორის 8 ზოგადი და 24 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი). პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და გამოცდილებით. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია ადმინისტრირებისა და ხარისხის მართვის პროცესებში. მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელს. ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება ISO 9001-2015 სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა, რომ შეფასების ინსტრუმენტები ვალიდურია, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პერსონალის ანაზღაურებას, სასწავლო მასალებს, პრაქტიკის ხარჯებსა და კომუნალურ გადასახადებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 16 პროფესიული სტუდენტით, რაც სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (80 სტუდენტი) გათვალისწინებით უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საექთნო საქმე“

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამის განხორციელება ეფუძნება დაწესებულების მრავალწლიან გამოცდილებას (1992 წლიდან) და მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი,

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ჯანდაცვის სექტორისთვის. პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N4-ში (VI სართული). სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია:

- ორი A გარემო: აღჭურვილია 30/30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სპეციფიკური ინვენტარითა და მულაჟებით.
- ორი B გარემო: საერთო ჯამში 30 სტუდენტზე გათვლილი კომპიუტერული სივრცეები, უზრუნველყოფილი სათანადო ტექნიკითა და ინტერნეტით.

სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და აღჭურვილია ყველა საჭირო სადემონსტრაციო თუ პრაქტიკული რესურსით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლინიკური მოდულები ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმატით დარგის ლიდერ სამედიცინო დაწესებულებებში. გაფორმებულია ხელშეკრულებები 10-მდე წამყვან კლინიკასთან, პრაქტიკის ობიექტებზე დაცულია ინსტრუქტორისა და სტუდენტის თანაფარდობა (1/7), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 კვალიფიციური მასწავლებელი (30 პროფესიული და 3 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი) და 29 ინსტრუქტორი. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგობრივი კომპეტენციის მქონე მოქმედი ექთანი. პერსონალის დატვირთვა არის ოპტიმალური და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც პროგრამის მდგრადობის გარანტიაა. დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის მართვის PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე) მოდელი. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. მოქმედებს ვერიფიკაციისა და ვალიდაციის მექანიზმები, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) და ადაპტირებული გარემო სსსმ პირებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას – 180 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 18 სტუდენტით. ფინანსური რესურსები, მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან სტაბილურობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას №4-ში (VI სართული). სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილია:

- BC სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია): აღჭურვილია 20 პერსონალური კომპიუტერით (სრული კომპლექტით) პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 სამუშაო ადგილით მასწავლებლისთვის. სივრცე უზრუნველყოფილია უწყვეტი კვების წყაროებით, მრავალფუნქციური პრინტერითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.
- A გარემო: ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის გამოიყენება კეთილმოწყობილი აუდიტორიები (№7 და №8). ორცვლიანი სწავლების მოდელი და არსებული ინფრასტრუქტურა სრულად იძლევა მოთხოვნილი 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 14 კვალიფიციური მასწავლებელი (4 პროფესიული და 10 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი). პერსონალის შერჩევა განხორციელდა მათი დარგობრივი კომპეტენციისა და პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესს და საგანმანათლებლო რესურსების განახლებას. დაწესებულებაში დანერგილია სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმი. ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების პრაქტიკა (კერძოდ, 2

სტუდენტისთვის), სადაც ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასწავლო რესურსები და გარემო ადაპტირებულია სტუდენტთა სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური. მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე (დაბალი, საშუალო, მაღალი, კრიტიკული) ახდენს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების გადამოწმებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ხარჯს (პერსონალის ანაზღაურება, ინფრასტრუქტურა, რესურსები). პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო რესურსით.

საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა დაწესებულების პერსონალის პირად საქმეებში არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც ადასტურებს მათ კომპეტენციას კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და უცხო ენების ფლობის მიმართულებით. ექსპერტმა, ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დიფერენცირებულია პოზიციების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ პერსონალის პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი სერტიფიკატები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, CV-ები და კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები სქესობრივი ხელშეუხებლობის შესახებ. ექსპერტის განცხადებით, ყველა დასაქმებული პირის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე (2.4.2.2.), რომელიც ეხებოდა ვერიფიკაციის დასკვნის ფორმებში ფიზიკური ხელმოწერის აუცილებლობას. თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა აღნიშნული შენიშვნა შინაარსობრივი ხარვეზის მატარებელი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება იყენებს ელექტრონულ სისტემას.
ექსპერტმა ნანა ვერულაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ემსახურება პროცესის ვალიდურობის განმტკიცებას. მისივე განმარტებით, დასკვნაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი ტერმინოლოგიაში – ნაცვლად „ვერიფიკაციისა“, საუბარია „ვალიდაციის“ პროცესზე, რაც ასახულია დაწესებულების შიდა რეგულაციებშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დააზუსტა, რომ ხარვეზი გამოიკვეთა კონკრეტულ ელექტრონულ ფაილებთან მიმართებაში, სადაც ვერიფიკატორის ვინაობა მხოლოდ ტექსტურად იყო მითითებული და არ ფიქსირდებოდა ვიზუალური ხელმოწერა (მატერიალური ან ციფრული), რაც ბუნდოვანებას ქმნიდა დოკუმენტის ავთენტურობასთან დაკავშირებით.
დაზუსტდა, რომ შინაარსობრივად პროცესი სწორად მიმდინარეობს და რეკომენდაცია მხოლოდ ტექნიკური და ფორმალური მხარის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის წარმოსადგენად ვადა 2025 წლის 31 დეკემბრამდე ჰქონდა. ვადის ამოწურვის გამო, მან კოლეჯის წარმომადგენლებს სთხოვა ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე სტატუსის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, ნინო ჭითანავამ და გიორგი ფოფხაძემ, განაცხადეს, რომ ვადის დარღვევა გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით. კერძოდ, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ (GWP) კომუნიკაცია აღმოჩნდა ხანგრძლივი; მხოლოდ 2024 წლის 24 დეკემბერს მიიღეს ტექნიკური პირობა გარე ჰიდრანტის მიერთების წერტილის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულებამ ითხოვა დამატებითი 3-თვიანი ვადა სამუშაოების დასასრულებლად.

საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი პოზიციები:

საბჭოს თავმჯდომარემ ელენე კაკაბაძემ ხაზი გაუსვა სტუდენტთა უსაფრთხოების კრიტიკულ მნიშვნელობას. მისი წინადადებით, ავტორიზაციას მხარი უნდა დაეჭიროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარეზოლუციო ნაწილში აისახება მკაცრი პირობა: დაწესებულებამ 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარადგინოს დადებითი დასკვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ავტორიზაციის გაუქმების პროცედურა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობის შიდა სახანძრო სისტემა (დეტექტორები, შიდა ჰიდრანტები) სრულად გამართულია და შემოწმებული ექსპერტების მიერ. პრობლემა ეხება მხოლოდ ახალი რეგულაციით მოთხოვნილ გარე ჰიდრანტს, რომლის დამონტაჟებაზეც GWP-სგან თანხმობა უკვე არსებობს, თუმცა რეალური სამუშაოები დროს საჭიროებს.

საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ დააზუსტა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების საკითხი და აღნიშნა, რომ მიუხედავად შიდა სისტემის გამართულობისა, გარე წყალმომარაგების წყარო (ჰიდრანტი) სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნაა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო – 14:45
დასრულების დრო – 15:05

სათათბირო შესვენების დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, საბჭოს წევრებს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად გააჟღერა მიღებული გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან და დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭო მოცემულ ეტაპზე არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ავტორიზაციის თაობაზე. დაწესებულებას მიეცა დამატებითი შესაძლებლობა, წარმოადგინოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტაცია.

საბჭოს გადაწყვეტილებით, კოლეჯს 2026 წლის 29 იანვრამდე (მომდევნო სხდომის თარიღი) განესაზღვრა შესაბამისობის განახლებული გეგმის წარმოდგენა, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მიღების პერიოდი და კონკრეტული გარანტიები, რაც დაადასტურებს განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს „ბარაკონის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის გადადებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანების მუხლი 42, პუნქტი 9^1-ის(9^1 - იმ

შემთხვევაში, თუ საბჭო არ იზიარებს დაწესებულების ან/და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რის საფუძველზეც შესაძლოა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ მიენიჭოს ან დაწესებულებას გაუუქმდეს ავტორიზაცია, საბჭო უფლებამოსილია გადადოს სხდომა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით და დაწესებულებისგან ან/და ექსპერტთა ჯგუფისგან მოითხოვოს დამატებითი წერილობითი არგუმენტაციის წარმოდგენა) საფუძველზე.

შპს ბარაკონის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა გადაიდო ამა წლის 29 იანვრის სხდომისთვის, ასევე, ცვლილება განხორციელდა 29 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

საბჭო იმსჯელებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციისა და გარანტიების საფუძველზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია